

მმართველობის ანგარიშგება,
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს შუხმან კაპიტალი (სკ 405013248) კონსოლიდირებული

სარჩევი

- დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში (დასკვნა)
- მმართველობის ანგარიშგება:
 - საქმიანობის მიმოხილვა
 - განვითარების გეგმები
 - ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
 - დამატებითი განმარტებები
 - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 - მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
 - კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
 - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
 - ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს შუხმან კაპიტალის (405013248) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული საანგარიშო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგების შედეგების შესახებ

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს შუხმან კაპიტალის (405013248) (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია, აგრეთვე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგებას.

აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3, მე-6 და მე-10 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის - „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები, მოცემული მოთხოვნების თანახმად. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენი ანგარიშის გამოყენება

წინამდებარე ანგარიში მასში მოცემული მოსაზრების ჩათვლით, მომზადდა მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისათვის და არა სხვა მიზნებისთვის. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმით ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რომელიმე სხვა მიზნისთვის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე, ვისაც აღნიშნული ანგარიში შეიძლება წარედგინოს, ან ვის ხელშიც ის შეიძლება აღმოჩნდეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ცალსახად, წინასწარ იყო შეთანხმებული წერილობითი ფორმით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში გაასაჯაროვოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ყველა არსებით უზუსტობას, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშე- წონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სააღრიცხვო შეფასებების დასაბუ- თებულობასა და შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროებას;

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციის გასაჯაროებას, ან, თუ ამგვარი გასაჯაროებული ინფორმაცია ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ინფორმაციის გასაჯაროებას და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სერგო ხურცილავა, დირექტორი,

რეგისტრირებული აუდიტორი,

ინდ. რეგ. ნომ. № SARAS-A-648178

დავით მანჩხაშვილი, დირექტორი

შპს ეს დი ეი აუდიტი (405318874)

№ SARAS-F-934155

თბილისი, საქართველო

16 სექტემბერი 2019 წ.

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

საზოგადოების განვითარების გეგმა

ძირითადი მონაცემები კომპანიის შესახებ

შპს „შუხმან კაპიტალი“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2013 წლის 9 ოქტომბერს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 405013248.

კომპანიის რეგისტრაციის და საქმიანობის მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დ. არაყიშვილის ქ., 16/4, ბ. 5.

კომპანიის დირექტორია ნინო აბრამიშვილი 01008017409, წილების მფლობელები:

01008017409, ნინო აბრამიშვილი

51%

C7P0X64FM, 01201132057, ბურხარდ კრისტიან შუხმან, გერმანია, საქართველო 49%

კომპანიას 2018 წელს პრაქტიკულად არავითარი საოპერაციო საქმიანობა არ განუხორციელებია. მისი ძირითადი აქტივია მის საკუთრებაში არსებული შპს შუხმან ვაინს ჯორჯიას (205237518) 80 პროცენტის წილი, რომელიც შეძენილი იყო საანგარიშო პერიოდამდე გაცილებით ადრე ფ/პ ბურხარდ კრისტიან შუხმანისაგან მიღებული 1,5 მლნ ევროს სესხით. შესაბამისად, მის ვალდებულებათა უდიდეს ნაწილს წარმოადგენს აღნიშნული სასესხო ვალდებულება, რომელიც არ ძირითად არც საპროცენტო ნაწილში არ არის გადახდილი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის.

კომპანიას ასევე ეკუთვნის შპს შუხმან ჰოტელს მენეჯმენტ ენდ სერვის გრუპი - ს 405020597 100%-იანი წილი, და შპს შუხმან რიალ ისთეით-ის (405189692) 60%-იანი წილი. სამივე ზემოთხსენებულ კომპანიას აკონტროლებს შპს „შუხმან კაპიტალი“. შემდგომში მოყვანილი დებულებები ვრცელდება დასახელებულ კომპანიათა ჯგუფზე (შემდგომში „ჯგუფი“).

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ა. ღვინის და ღვინომასალების, სხვა ალკოჰოლური (სპირტიანი) სასმელების წარმოება;
- ბ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.
- გ. წიპწის ზეთის წარმოება;
- დ. სასტუმრო ბიზნესი და სარესტორნო საქმიანობა.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 03 იანვრის N3 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება №2-82 “ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 20 თებერვალის N2-37 ბრძანება - “ღვინისა და ღვინის ბრენდის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემთა შესწავლისა და დადგენის წესის” და “ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და ღვინის ბრენდის წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის წესის” დამტკიცების შესახებ.
- სხვა ნორმატიული აქტები.

ჯგუფი საქონელს ძირითადად ყიდის ექსპორტზე მსოფლიოს 19 ქვეყანაში. საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოში რეალიზაცია.

ალკოჰოლური ნაწარმის მწარმოებელთა შორის საქართველოში ჯგუფს უკავია დაახლოებით 2%-იანი სეგმენტი.

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- ბოთლის სამარკო და ორდინარული ღვინოები (მათ შორის, ადგილწარმოშობის და ქვევრის);
- ჩამოსასხმელი ღვინო და ღვინომასალა;
- ჭაჭის არაყი და უწყლო სპირტი;
- წიპწის ზეთი.

სარეალიზაციოდ არის განკუთვნილი სასტუმროს ტიპის მცირე ზომის ვილების ნაწილი, რომელსაც ჯგუფი აშენებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ჯგუფი ეწევა მომსახურებას ტურიზმისა სფეროში.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შეცვლას უახლოეს პერიოდში არ გეგმავს.

თუმცა აპირებს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას და ექსპორტის გაფართოებას.

მიმდინარე წელს გაშენდა 44 ჰა ევრო-სტანდარტის ახალი საფერავის ვანეახი, რაც ჯგუფს უზრუნველყოფს უახლოესი 5 წლის მანძილზე საკუთარი პროდუქციით.

დამატებული ვენახებიდან მიღებული ყურძნის გადასამუშავებლად კომპანიის დღევანდელი სიმძლავრეები სრულიად საკმარისია.

ყურძნის საკუთარი წარმოების პირობებში ჯგუფი სრულად გააკონტროლებს აგროწესების დაცვას, ტექნიკურ სიმწიფეს და ა.შ. რაც საბოლოოდ აისახება წარმოებული ღვინის ხარისხში.

შესაბამისად მეტი საშუალება გაჩნდება მაღალ ფასიანი სეგმენტის შესაფერისი პროდუქციის საწარმოებლად. შესაძლებელი გახდება ასორტიმენტის გაფართოებაც.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით დაკავებული ბაზრის სეგმენტი შესაძლებელია გაიზარდოს 4-5%-მდე.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

	31/12/17	31/12/18	% წინა წელთან შედარებით
მიმდინარე აქტივები	6,097,792	8,952,690	147%
გრძელვადიანი აქტივები	9,994,842	11,450,946	115%
სულ აქტივები	16,092,634	20,403,635	127%
მიმდინარე ვალდებულებები	2,526,250	5,333,629	211%
გრძელვადიანი ვალდებულებები	8,135,537	8,368,989	103%
გაუნაწ მოგება/დაუფარ ზარალი	3,176,793	4,032,599	127%
სულ კაპიტალი	5,430,847	6,701,018	123%
სულ პასივები	16,065,377	16,821,609	105%
შემოსავალი რეალიზაციიდან	10,119,581	9,609,290	95%
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-5,376,664	-6,059,636	113%

ჯგუფის მიერ წარმოებული და რეალიზებული პროდუქცია დინამიკაში შემდეგია

	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
წარმოება (ცალი/ბოთლი)	737,485	1,034,814	958,087
რეალიზაცია (ცალი/ბოთლი)	707,128	1,114,511	877,594
თანხა (ლარი)	4,880,998	7,537,293	6,598,774

ყოველწლიურად იზრდება როგორც დასაქმებულთა ოდენობა, ასევე მათი ანაზღაურება და სხვა განაცემები. აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი ცხრილი.

დასაქმებულთა საშუალო ხელფასი და რაოდენობა

	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
დასაქმებულთა საშუალო ხელფასი	476	540	1095
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	114	123	229

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სასოფლო სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელი რისკი **დაკავშირებულია ამინდთან**. არახელსაყრელმა ამინდმა, კერძოდ, ხშირმა წვიმებმა, ან პირიქით დიდმა გვალვამ, ასევე სეტყვამ, რაც ხშირია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის რეგიონში, შესაძლებელია გამოიწვიოს მოსავლის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება. ამის თავიდან ასაცილებლად კომპანიას ეს რისკი მთლიანად დაზღვეული აქვს.

ვენახის დაავადებებისგან და მავნებლებისგან გამოწვეული დანაკარგების რისკი ასევე მნიშვნელოვანი რისკია, რომლის თავიდან ასაცილებლად კომპანიას ყავს გამოცდილი აგრონომები, შესაბამისი ტექნიკა და ხდება აგროწესების ზედმიწევნით დაცვა, რაც ამცირებს ამ ფაქტორებით ზიანის მიღების რისკს.

რეალიზაციის პრობლემა და მასთან დაკავშირებული რისკი. კომპანიამ სრულად მოახდინა ბაზრის დივერსიფიკაცია და ნაკლებადაა დამოკიდებული ერთ რომელიმე ბაზარზე, რაც ამ რისკს პრაქტიკულად უმნიშვნელოს ხდის.

ქონების დაცვის რისკი, რაც დაკავშირებულია სტიქიურ უბედურებებთან, ხანძართან და ქურდობასთან. ამ ფაქტორების გასაწეიტრალეზლად კომპანიის ქონება სრულადაა დაზღვეული. კომპანიის ქონებას იცავს კერძო დაცვის სამსახური.

მენეჯმენტის აზრით სხვა დანარჩენი რისკები საშუალოზე დაბალია.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, იგი დაკავშირებულია სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მოულოდნელად მიღებულ გადაწყვეტილებებთან, რომლებსაც შეუძლია კომპანიის საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად შეცვალოს და რომელთა წინასწარი პროგნოზირება ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელია.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

	31/12/2018	31/12/2017	შენიშვნა
ფული და ფულის ექვივალენტები	2,596	1,874	ა1
ფული საბანკო ანგარიშზე	815,886	214,272	ა1
მოკლევადიანი მოთხოვნები	3,781,390	2,291,587	ა2
სასაქონლო--მატერიალური მარაგი	4,352,709	3,405,304	ა3
წინასწარ გაწეული ხარჯები	0	0	
სხვა მიმდინარე აქტივები	0	38,915	
საგადასახადო აქტივები	108	145,840	
სულ მიმდინარე აქტივები	8,952,690	6,097,792	
ძირითადი საშუალებები	11,377,341	9,873,418	ა4
არამატერიალური აქტივები	73,605	121,424	ა5
გრძელვადიანი ინვესტიციები	0	0	
გუდვილი	0	0	
სულ გრძელვადიანი აქტივები	11,450,946	9,994,842	
სულ აქტივები	20,403,635	16,092,634	
მოკლევადიანი ვალდებულებები	3,020,365	2,468,865	ა6
მოკლევადიანი სესხები	2,293,761	57,385	
საგადასახადო ვალდებულებები	19,503	0	ა7
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5,333,629	2,526,250	
გრძელვადიანი სესხები	8,368,989	8,135,537	ა8
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	8,368,989	8,135,537	
სულ ვალდებულებები	13,702,617	10,661,787	
საწესდებო კაპიტალი	147,324	147,324	ა9
გაუნაწილებელი მოგება	4,032,599	3,176,793	ა9
არამაკონტროლებელი წილი	2,521,096	2,106,730	ა9
სულ კაპიტალი	6,701,018	5,430,847	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	20,403,636	16,092,633	

დირექტორი

ნინო აბრამიშვილი

კონსოლიდირებული მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2018 წლის
31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

მოგების ან/და ზარალის ანგარიშგება	2018	2017
შემოსავალი რელიზაციიდან	9,609,290	10,119,581
რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება	-6,059,636	-5,376,664
საერთო მოგება	3,549,655	4,742,917
სხვა შემოსავალი	1,250,658	757,638
კომერციული დანახარჯები	-1,117,457	-1,168,332
ადმინისტრაციული დანახარჯები	-2,036,671	-1,726,206
სხვა ხარჯები	-376,014	-2,043,364
ფინანსური დანახარჯები	0	0
მოგება დაბეგვრამდე	1,270,172	562,653
მოგების გადასახადი	0	0
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან	1,270,172	562,653

დირექტორი

ნინო აბრამიშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	9,422,857	9,839,170
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გაცემული სახსრები და გადასახადები	-8,615,761	-7,741,851
	807,096	2,097,319
სასესხო საქმიანობა		
მიღებული სესხები	3,249,418	23672
გადახდილი სესხები	-1,039,616	-753,851
	2,209,802	-730,179
საინვესტიციო საქმიანობა		
კაპიტალური დანახარჯები	-2,398,601	-1,350,630
	-2,398,601	-1,350,630
არასაოპერაციო საქმიანობა		
არასაოპერაციო შემოსავლები	74,236	34,364
არასაოპერაციო ხარჯები	-90,196	-29,585
	-15,961	4,779
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	602,337	21,289

დირექტორი

ნინო აბრამიშვილი

შპს შუხმან კაპიტალი 405013248

კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

	31/12/2018	31/12/2017
საწესდებო კაპიტალი	147,324	147,324
გაუნაწილებელი მოგება	4,032,599	3,176,793
არამაკონტროლებელი წილი	2,521,096	2,106,730
სულ კაპიტალი	6,701,018	5,430,847

დირექტორი

ნინო აბრამიშვილი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

1. ორგანიზაცია (კომპანია)

საფირმო სახელწოდება: შპს შუხმან კაპიტალი
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405013248
რეგისტრაციის ნომერი, თარ: 09/10/2013
მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დ.
არაყიშვილის ქ., 16/4, ბ. 5

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - 01008017409, ნინო აბრამიშვილი

მესაკუთრე წილი წილის მმართველი

01008017409, ნინო აბრამიშვილი 51%
C7P0X64FM, 01201132057, ბურხარდ კრისტიან შუხმან, გერმანია, საქართველო 49%

ცვლილებები სარეგისტრაციო მონაცემებში:
2018 წელს არ არის განხორციელებული არანაირი ცვლილება.

კომპანიას 2018 წელს პრაქტიკულად არავითარი საოპერაციო საქმიანობა არ განუხორციელებია. მისი ძირითადი აქტივია მის საკუთრებაში არსებული შპს შუხმან ვაინს ჯორჯიას (205237518) 80 პროცენტიანი წილი, რომელიც შეძენილი იყო საანგარიშო პერიოდამდე გაცილებით ადრე ფ/პ ბურხარდ კრისტიან შუხმანისაგან მიღებული 1,5 მლნ ევროს სესხით. შესაბამისად, მის ვალდებულებათა უდიდეს ნაწილს წარმოადგენს აღნიშნული სასესხო ვალდებულება, რომელიც არ ძირითად არც საპროცენტო ნაწილში არ არის გადახდილი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის.

კომპანიას ასევე ეკუთვნის შპს შუხმან ჰოტელს მენეჯმენტ ენდ სერვის გრუპი - ს 405020597 100%-იანი წილი, და შპს შუხმან რიალ ისთეით-ის (405189692) 60%-იანი წილი. სამივე ზემოთხსენებულ კომპანიას აკონტროლებს შპს „შუხმან კაპიტალი“. შემდგომში მოყვანილი დებულებები ვრცელდება დასახელებულ კომპანიათა ჯგუფზე (შემდგომში „ჯგუფი“).

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 10-ს შესაბამისად.

საწარმო, ვინაიდან ის არის მშობელი საწარმო, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს (შვილობილ საწარმოს), წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; კონტროლის ფაქტი დასტუდება იმით, რომ საწარმო ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან და გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა ინვესტირებულ საწარმოებთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მზადდება ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით ანალოგიური ოპერაციებისა და ანალოგიურ ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ.

კონსოლიდაცია დაწყებულია იმ თარიღიდან, როდესაც საწარმომ მოიპოვა კონტროლი ინვესტირებულ საწარმოებზე. კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არამაკონტროლებელი წილი წარდგენილია საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში, მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა კაპიტალისგან განცალკევებით.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში: ა) გაერთიანებულია მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლები; ბ) ელიმინირებულია მშობელი საწარმოს მიერ თითოეულ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება და მშობელი საწარმოს კუთვნილი ნაწილი თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში (იხ ფასს 3, გუდვილის აღრიცხვის წესი); გ) მთლიანად ელიმინირებულია შიდაჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან (მთლიანად არის ელიმინირებული შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება, ან ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორიცაა მარაგები და გრძელვადიანი აქტივები).

მშობელ საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც გამოიყენება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, შედგენილია ერთი და იმავე საანგარიშგებო თარიღისთვის.

საწარმოს მოგება, ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი განაწილებული აქვს მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე. ანალოგიურად, განაწილებულია მთლიანი სრული შემოსავალიც.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1-ს მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია; ეა) წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას, როგორც ეს განსაზღვრულია 38-ე და 38ა პუნქტებში; და ვ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის

სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად, ან როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაციას 40ა-40დ პუნქტების შესაბამისად. სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი, კომპანია თავის მეკავშირე საწარმოს ანგარიშგებას წარუდგენს ევროში.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. დასაშვებია შუალედური ანგარიშგება. სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი, კომპანია თავის მეკავშირე საწარმოს ანგარიშგებას წარუდგენს ლარში (ტექსტში შემდგომ ყველა თანხა მოყვანილია ქართულ ლარებში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული).

აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს აუთოსორსინგით. სხვადასხვა პასუხისმგებელი პირების მიერ მომზადებული პირველადი დოკუმენტები დამუშავებისათვის გადაეცემა შპს ელიტ სერვისს. ფინანსურ ანგარიშგებას ზედამხედველობას უწევენ კომპანიის დირექტორები, ფინანსური ანგარიშგება გადაეცემა მის დამფუძნებელ რეზიდენტ იურიდიულ პირს კონსოლიდაციისათვის.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა.

კომპანიას არამატერიალური აქტივები ბალანსზე არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

კომპანიას ძირითადი საშუალებები ბალანსზე არ ერიცხება.

პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა.

პროდუქცია არ იწარმოება.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

საკურსო სხვაობების აღიარება. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა.

უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციის შინაარსის მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

მოგების გადასახადი 2017 წლის პირველი იანვრიდან გაიანგარიშება ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

საშემოსავლო გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 -ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით.

ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. დივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზს ეფუძნება. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში.

დაკავშირებული მხარეები არიან:

C7P0X64FM, 01201132057, ბურხარდ კრისტიან შუხმან, გერმანია, საქართველო

01008017409, ნინო აბრამიშვილი

შპს შუხმან ვაინს ჯორჯია (205237518)

შპს შუხმან ჰოტელს მენეჯმენტ ენდ სერვის გრუპი 405020597

შპს შუხმან რიალ ისთეით (405189692)

4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

ამ შესწორებათა ამოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები¹;
- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან¹;

- ფასს 16 - იჯარა²;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები³;
- ფასს 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება¹;
- ფასს 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება²;
- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით¹;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში⁴;
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა¹;
- შესწორებები ფასს 4 - „ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4 „სადაზღვევო კონტრაქტებთან“ ერთად¹;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით²;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი².

შენიშვნები:

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

დანართები (განმარტებები):

ფული და ფულის ექვივალენტები ა1

დასახელება	31/12/18	31/12/17
ფული და ფულის ექვივალენტები	2,596	1,874
ფული საბანკო ანგარიშზე	815,886	214,272
Grand Total	818,482	216,146

მიმდინარე მოთხოვნები ა2

დასახელება	31/12/18	31/12/17
მოკლევადიანი მოთხოვნები	3,781,390	2,291,587
Grand Total	3,781,390	2,291,587

აერთიანებს მოთხოვნებს საქონლისა მიწოდებიდან და ავკ-ების მიმართ მოთხოვნებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ა3

დასახელება	31/12/18	31/12/17
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	4,352,709	3,405,304
Grand Total	4,352,709	3,405,304

საანგარიშო პერიოდში არ ირიცხებოდა არსებითი ოდენობის მარაგები, რომელთა შეფასებაც შესამცირებელი იქნებოდა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე, რომელიც უფრო მცირეა, ვიდრე თვითღირებულება.

ძირითადი საშუალებები ა4

დასახელება	31/12/18	31/12/17
ძირითადი საშუალებები	11,377,341	9,873,418
Grand Total	11,377,341	9,873,418

კომპანიამ საანგარიშო წლის ბოლოს გადახედა აქტივების ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებას და სასარგებლო სამსახურის ვადას, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში არ განხორციელებულა.

არამატერიალური აქტივები ა5

დასახელება	31/12/18	31/12/17
არამატერიალური აქტივები	73,605	121,424
Grand Total	73,605	121,424

აერთიანებს სავაჭრო ნიშნებს, პატენტებს და პროგრამულ უზრუნველყოფას.

მოკლევადიანი ვალდებულებები ა6

დასახელება	31/12/18	31/12/17
მოკლევადიანი ვალდებულებები	3,020,365	2,468,865
Grand Total	3,020,365	2,468,865

საგადასახადო ვალდებულებები ა7

დასახელება	31/12/18	31/12/17
საგადასახადო ვალდებულებები	19,503	
Grand Total	19,503	

გრძელვადიანი სესხები ა8

დასახელება	31/12/18	31/12/17
გრძელვადიანი სესხები	8,368,989	8,135,537
Grand Total	8,368,989	8,135,537

აერთიანებს გრძელვადიან საბანკო სესხებს და სესხებს დამფუძნებელ-პარტნიორთა მიმართ.

კაპიტალი ა9

დასახელება	31/12/18	31/12/17
არამაკონტროლებელი წილი	2,521,096	2,106,730
გაუნაწილებელი მოგება	4,032,599	3,176,793
საწესდებო კაპიტალი	147,324	147,324
Grand Total	6,701,018	5,430,847

6. რისკის მართვა

რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საბაზრო რისკს
- საფასო რისკს
- საოპერაციო რისკს

დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია. კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს. საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

7. შემდგომი მოვლენები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი

ნინო აბრამიშვილი

16 სექტემბერი 2019

მმართველობის ანგარიშგება,
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს შუხმან კაპიტალი (სკ 405013248) კონსოლიდირებული

სარჩევი

- დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში (დასკვნა)
- მმართველობის ანგარიშგება:
 - საქმიანობის მიმოხილვა
 - განვითარების გეგმები
 - ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
 - დამატებითი განმარტებები
 - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 - მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
 - კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
 - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
 - ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს შუხმან კაპიტალის (405013248) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული საანგარიშო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური და
მმართველობის ანგარიშგების შედეგების შესახებ

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს შუხმან კაპიტალის (405013248) (შემდგომში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია, აგრეთვე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგებას.

აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3, მე-6 და მე-10 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის

გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის - „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები, მოცემული მოთხოვნების თანახმად. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენი ანგარიშის გამოყენება

წინამდებარე ანგარიში მასში მოცემული მოსაზრების ჩათვლით, მომზადდა მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისათვის და არა სხვა მიზნებისთვის. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმით ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რომელიმე სხვა მიზნისთვის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე, ვისაც აღნიშნული ანგარიში შეიძლება წარედგინოს, ან ვის ხელშიც ის შეიძლება აღმოჩნდეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ცალსახად, წინასწარ იყო შეთანხმებული წერილობითი ფორმით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში გაასაჯაროვოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ

არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ყველა არსებით უზუსტობას, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროებას;

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციის გასაჯაროებას, ან, თუ ამგვარი გასაჯაროებული ინფორმაცია ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების

მოდირიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ინფორმაციის გასაჯაროებას და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სერგო ხურცილავა, დირექტორი,

რეგისტრირებული აუდიტორი,

ინდ. რეგ. ნომ. № SARAS-A-648178



დავით მანჩხაშვილი, დირექტორი

შპს ეს დი ეი აუდიტი (405318874)

№ SARAS-F-934155

თბილისი, საქართველო

16 სექტემბერი 2019 წ.

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

საზოგადოების განვითარების გეგმა

ძირითადი მონაცემები კომპანიის შესახებ

შპს „შუხმან კაპიტალი“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2013 წლის 9 ოქტომბერს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 405013248. კომპანიის რეგისტრაციის და საქმიანობის მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დ. არაყიშვილის ქ., 16/4, ბ. 5.

კომპანიის დირექტორია ნინო აბრამიშვილი 01008017409, წილების მფლობელები:
01008017409, ნინო აბრამიშვილი 51%
C7P0X64FM, 01201132057, ბურხარდ კრისტიან შუხმან, გერმანია, საქართველო 49%

კომპანიას 2018 წელს პრაქტიკულად არავითარი საოპერაციო საქმიანობა არ განუხორციელებია. მისი ძირითადი აქტივია მის საკუთრებაში არსებული შპს შუხმან ვაინს ჯორჯიას (205237518) 80 პროცენტის წილი, რომელიც შეძენილი იყო საანგარიშო პერიოდამდე გაცილებით ადრე ფ/პ ბურხარდ კრისტიან შუხმანისაგან მიღებული 1,5 მლნ ევროს სესხით. შესაბამისად, მის ვალდებულებათა უდიდეს ნაწილს წარმოადგენს აღნიშნული სასესხო ვალდებულება, რომელიც არ ძირითად არც საპროცენტო ნაწილში არ არის გადახდილი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის.

კომპანიას ასევე ეკუთვნის შპს შუხმან ჰოტელს მენეჯმენტ ენდ სერვის გრუპი - ს 405020597 100%-იანი წილი, და შპს შუხმან რიალ ისთეით-ის (405189692) 60%-იანი წილი. სამივე ზემოთხსენებულ კომპანიას აკონტროლებს შპს „შუხმან კაპიტალი“. შემდგომში მოყვანილი დებულებები ვრცელდება დასახელებულ კომპანიათა ჯგუფზე (შემდგომში „ჯგუფი“).

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- ა. ღვინის და ღვინომასალების, სხვა ალკოჰოლური (სპირტიანი) სასმელების წარმოება;
- ბ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.
- გ. წიპწის ზეთის წარმოება;
- დ. სასტუმრო ბიზნესი და სარესტორნო საქმიანობა.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები:

- საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 03 იანვრის N3 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება №2-82 “ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 20 თებერვალის N2-37 ბრძანება - “ღვინისა და ღვინის ბრენდის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემთა შესწავლისა და დადგენის წესის” და “ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და ღვინის ბრენდის წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის წესის” დამტკიცების შესახებ.
- სხვა ნორმატიული აქტები.

ჯგუფი საქონელს ძირითადად ყიდის ექსპორტზე მსოფლიოს 19 ქვეყანაში. საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოში რეალიზაცია.

ალკოჰოლური ნაწარმის მწარმოებელთა შორის საქართველოში ჯგუფს უკავია დაახლოებით 2%-იანი სეგმენტი.

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- ბოთლის სამარკო და ორდინარული ღვინოები (მათ შორის, ადგილწარმოშობის და ქვევრის);
- ჩამოსასხმელი ღვინო და ღვინომასალა;
- ჭაჭის არაყი და უწყლო სპირტი;
- წიპწის ზეთი.

სარეალიზაციოდ არის განკუთვნილი სასტუმროს ტიპის მცირე ზომის ვილების ნაწილი, რომელსაც ჯგუფი აშენებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ჯგუფი ეწევა მომსახურებას ტურიზმის სფეროში.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შეცვლას უახლოეს პერიოდში არ გეგმავს.

თუმცა აპირებს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას და ექსპორტის გაფართოებას.

მიმდინარე წელს გაშენდა 44 ჰა ევრო-სტანდარტის ახალი საფერავის ვანეახი, რაც ჯგუფს უზრუნველყოფს უახლოესი 5 წლის მანძილზე საკუთარი პროდუქციით.

დამატებული ვენახებიდან მიღებული ყურძნის გადასამუშავებლად კომპანიის დღევანდელი სიმძლავრეები სრულიად საკმარისია.

ყურძნის საკუთარი წარმოების პირობებში ჯგუფი სრულად გააკონტროლებს აგროწესების დაცვას, ტექნიკურ სიმწიფეს და ა.შ. რაც საბოლოოდ აისახება წარმოებული ღვინის ხარისხში.

შესაბამისად მეტი საშუალება გაჩნდება მაღალ ფასიანი სეგმენტის შესაფერისი პროდუქციის საწარმოებლად. შესაძლებელი გახდება ასორტიმენტის გაფართოებაც.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით დაკავებული ბაზრის სეგმენტი შესაძლებელია გაიზარდოს 4-5%-მდე.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

	31/12/17	31/12/18	% წინა წელთან შედარებით
მიმდინარე აქტივები	6,097,792	8,952,690	147%
გრძელვადიანი აქტივები	9,994,842	11,450,946	115%
სულ აქტივები	16,092,634	20,403,635	127%
მიმდინარე ვალდებულებები	2,526,250	5,333,629	211%
გრძელვადიანი ვალდებულებები	8,135,537	8,368,989	103%
გაუნაწ მოგება/დაუფარ ზარალი	3,176,793	4,032,599	127%
სულ კაპიტალი	5,430,847	6,701,018	123%
სულ პასივები	16,065,377	16,821,609	105%
შემოსავალი რეალიზაციიდან	10,119,581	9,609,290	95%
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-5,376,664	-6,059,636	113%

ჯგუფის მიერ წარმოებული და რეალიზებული პროდუქცია დინამიკაში შემდეგია

	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
წარმოება (ცალი/ბოთლი)	737,485	1,034,814	958,087
რეალიზაცია (ცალი/ბოთლი)	707,128	1,114,511	877,594
თანხა (ლარი)	4,880,998	7,537,293	6,598,774

ყოველწლიურად იზრდება როგორც დასაქმებულთა ოდენობა, ასევე მათი ანაზღაურება და სხვა განაცემები. აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი ცხრილი.

დასაქმებულთა საშუალო ხელფასი და რაოდენობა

	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
დასაქმებულთა საშუალო ხელფასი	476	540	1095
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	114	123	229

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სასოფლო სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელი რისკი დაკავშირებულია ამინდთან. არახელსაყრელმა ამინდმა, კერძოდ, ხშირმა წვიმებმა, ან პირიქით დიდმა გვალვამ, ასევე სეტყვამ, რაც ხშირია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის რეგიონში, შესაძლებელია გამოიწვიოს მოსავლის მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურება. ამის თავიდან ასაცილებლად კომპანიას ეს რისკი მთლიანად დაზღვეული აქვს.

ვენახის დაავადებებისგან და მავნებლებისგან გამოწვეული დანაკარგების რისკი ასევე მნიშვნელოვანი რისკია, რომლის თავიდან ასაცილებლად კომპანიას ყავს გამოცდილი აგრონომები, შესაბამისი ტექნიკა და ხდება აგროწესების ზედმიწევნით დაცვა, რაც ამცირებს ამ ფაქტორებით ზიანის მიღების რისკს.

რეალიზაციის პრობლემა და მასთან დაკავშირებული რისკი. კომპანიამ სრულად მოახდინა ბაზრის დივერსიფიკაცია და ნაკლებადაა დამოკიდებული ერთ რომელიმე ბაზარზე, რაც ამ რისკს პრაქტიკულად უმნიშვნელოს ხდის.

ქონების დაცვის რისკი, რაც დაკავშირებულია სტიქიურ უბედურებებთან, ხანძართან და ქურდობასთან. ამ ფაქტორების გასაწეიტრალეზლად კომპანიის ქონება სრულადაა დაზღვეული. კომპანიის ქონებას იცავს კერძო დაცვის სამსახური.

მენეჯმენტის აზრით სხვა დანარჩენი რისკები საშუალოზე დაბალია.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, იგი დაკავშირებულია სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მოულოდნელად მიღებულ გადაწყვეტილებებთან, რომლებსაც შეუძლია კომპანიის საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად შეცვალოს და რომელთა წინასწარი პროგნოზირება ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელია.

დირექტორი




ნინო აბრამიშვილი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

	31/12/2018	31/12/2017	შენიშვნა
ფული და ფულის ექვივალენტები	2,596	1,874	ა1
ფული საბანკო ანგარიშზე	815,886	214,272	ა1
მოკლევადიანი მოთხოვნები	3,781,390	2,291,587	ა2
სასაქონლო--მატერიალური მარაგი	4,352,709	3,405,304	ა3
წინასწარ გაწეული ხარჯები	0	0	
სხვა მიმდინარე აქტივები	0	38,915	
საგადასახადო აქტივები	108	145,840	
სულ მიმდინარე აქტივები	8,952,690	6,097,792	
ძირითადი საშუალებები	11,377,341	9,873,418	ა4
არამატერიალური აქტივები	73,605	121,424	ა5
გრძელვადიანი ინვესტიციები	0	0	
გუდვილი	0	0	
სულ გრძელვადიანი აქტივები	11,450,946	9,994,842	
სულ აქტივები	20,403,635	16,092,634	
მოკლევადიანი ვალდებულებები	3,020,365	2,468,865	ა6
მოკლევადიანი სესხები	2,293,761	57,385	
საგადასახადო ვალდებულებები	19,503	0	ა7
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5,333,629	2,526,250	
გრძელვადიანი სესხები	8,368,989	8,135,537	ა8
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	8,368,989	8,135,537	
სულ ვალდებულებები	13,702,617	10,661,787	
საწესდებო კაპიტალი	147,324	147,324	ა9
გაუნაწილებელი მოგება	4,032,599	3,176,793	ა9
არამაკონტროლებელი წილი	2,521,096	2,106,730	ა9
სულ კაპიტალი	6,701,018	5,430,847	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	20,403,636	16,092,633	

დირექტორი



ნინო აბრამიშვილი

**ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის**

ვალუტა: ლარი

	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	9,422,857	9,839,170
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გაცემული სახსრები და გადასახადები	-8,615,761	-7,741,851
	807,096	2,097,319
სასესხო საქმიანობა		
მიღებული სესხები	3,249,418	23672
გადახდილი სესხები	-1,039,616	-753,851
	2,209,802	-730,179
საინვესტიციო საქმიანობა		
კაპიტალური დანახარჯები	-2,398,601	-1,350,630
	-2,398,601	-1,350,630
არასაოპერაციო საქმიანობა		
არასაოპერაციო შემოსავლები	74,236	34,364
არასაოპერაციო ხარჯები	-90,196	-29,585
	-15,961	4,779
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	602,337	21,289

დირექტორი



ნინო აბრამიშვილი

კონსოლიდირებული მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2018
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

მოგების ან/და ზარალის ანგარიშგება	2018	2017
შემოსავალი რელიზაციიდან	9,609,290	10,119,581
რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება	-6,059,636	-5,376,664
საერთო მოგება	3,549,655	4,742,917
სხვა შემოსავალი	1,250,658	757,638
კომერციული დანახარჯები	-1,117,457	-1,168,332
ადმინისტრაციული დანახარჯები	-2,036,671	-1,726,206
სხვა ხარჯები	-376,014	-2,043,364
ფინანსური დანახარჯები	0	0
მოგება დაზღვევამდე	1,270,172	562,653
მოგების გადასახადი	0	0
წლის მოგება განგრძობითი საქმიანობიდან	1,270,172	562,653

დირექტორი



ნინო აბრამიშვილი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

	31/12/2018	31/12/2017
საწესდებო კაპიტალი	147,324	147,324
გაუნაწილებელი მოგება	4,032,599	3,176,793
არამაკონტროლებელი წილი	2,521,096	2,106,730
სულ კაპიტალი	6,701,018	5,430,847

დირექტორი



ნინო აბრამიშვილი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

1. ორგანიზაცია (კომპანია)

საფირმო სახელწოდება: შპს შუხმან კაპიტალი
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405013248
რეგისტრაციის ნომერი, თარი: 09/10/2013
მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დ.
არაყიშვილის ქ., 16/4, ბ. 5

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - 01008017409, ნინო აბრამიშვილი

მესაკუთრე წილი წილის მმართველი

01008017409, ნინო აბრამიშვილი 51%
C7P0X64FM, 01201132057, ბურხარდ კრისტიან შუხმან, გერმანია, საქართველო 49%

ცვლილებები სარეგისტრაციო მონაცემებში:
2018 წელს არ არის განხორციელებული არანაირი ცვლილება.

კომპანიას 2018 წელს პრაქტიკულად არავითარი საოპერაციო საქმიანობა არ განუხორციელებია. მისი ძირითადი აქტივია მის საკუთრებაში არსებული შპს შუხმან ვაინს ჯორჯიას (205237518) 80 პროცენტისა და წილი, რომელიც შეძენილი იყო საანგარიშო პერიოდამდე გაცილებით ადრე ფ/პ ბურხარდ კრისტიან შუხმანისაგან მიღებული 1,5 მლნ ევროს სესხით. შესაბამისად, მის ვალდებულებათა უდიდეს ნაწილს წარმოადგენს აღნიშნული სასესხო ვალდებულება, რომელიც არ ძირითად არც საპროცენტო ნაწილში არ არის გადახდილი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის.

კომპანიას ასევე ეკუთვნის შპს შუხმან ჰოტელს მენეჯმენტ ენდ სერვის გრუპი - ს 405020597 100%-იანი წილი, და შპს შუხმან რიალ ისთეით-ის (405189692) 60%-იანი წილი. სამივე ზემოთხსენებულ კომპანიას აკონტროლებს შპს „შუხმან კაპიტალი“. შემდგომში მოყვანილი დებულებები ვრცელდება დასახელებულ კომპანიათა ჯგუფზე (შემდგომში „ჯგუფი“).

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 10-ს შესაბამისად.

საწარმო, ვინაიდან ის არის მშობელი საწარმო, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს (შვილობილ საწარმოს), წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; კონტროლის ფაქტი დასტუდება იმით, რომ საწარმო ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან და გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა ინვესტირებულ საწარმოებთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მზადდება ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით ანალოგიური ოპერაციებისა და ანალოგიურ ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ.

კონსოლიდაცია დაწყებულია იმ თარიღიდან, როდესაც საწარმომ მოიპოვა კონტროლი ინვესტირებულ საწარმოებზე. კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არამაკონტროლებელი წილი წარდგენილია საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში, მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა კაპიტალისგან განცალკევებით.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში: ა) გაერთიანებულია მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლები; ბ) ელიმინირებულია მშობელი საწარმოს მიერ თითოეულ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება და მშობელი საწარმოს კუთვნილი ნაწილი თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში (იხ ფასს 3, გუდვილის აღრიცხვის წესი); გ) მთლიანად ელიმინირებულია შიდაჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან (მთლიანად არის ელიმინირებული შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება, ან ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორიცაა მარაგები და გრძელვადიანი აქტივები). მშობელ საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც გამოიყენება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, შედგენილია ერთი და იმავე საანგარიშგებო თარიღისთვის.

საწარმოს მოგება, ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი განაწილებული აქვს მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე. ანალოგიურად, განაწილებულია მთლიანი სრული შემოსავალიც.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1-ს მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია; ეა) წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას, როგორც ეს განსაზღვრულია 38-ე და 38ა პუნქტებში; და ვ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის

სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად, ან როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაციას 40ა-40დ პუნქტების შესაბამისად. სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი, კომპანია თავის მეკავშირე საწარმოს ანგარიშგებას წარუდგენს ევროში.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. დასაშვებია შუალედური ანგარიშგება. სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი, კომპანია თავის მეკავშირე საწარმოს ანგარიშგებას წარუდგენს ლარში (ტექსტში შემდგომ ყველა თანხა მოყვანილია ქართულ ლარებში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული).

აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს აუტოსორსინგით. სხვადასხვა პასუხისმგებელი პირების მიერ მომზადებული პირველადი დოკუმენტები დამუშავებისათვის გადაეცემა შპს ელიტ სერვისს. ფინანსურ ანგარიშგებას ზედამხედველობას უწევენ კომპანიის დირექტორები, ფინანსური ანგარიშგება გადაეცემა მის დამფუძნებელ რეზიდენტ იურიდიულ პირს კონსოლიდაციისათვის.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა.

კომპანიას არამატერიალური აქტივები ბალანსზე არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

კომპანიას ძირითადი საშუალებები ბალანსზე არ ერიცხება.

პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა.

პროდუქცია არ იწარმოება.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

საკურსო სხვაობების აღიარება. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა.

უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციის შინაარსის მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

მოგების გადასახადი 2017 წლის პირველი იანვრიდან გაიანგარიშება ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

საშემოსავლო გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 -ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით.

ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. დივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზს ეფუძნება. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში.

დაკავშირებული მხარეები არიან:

C7P0X64FM, 01201132057, ბურხარდ კრისტიან შუხმან, გერმანია, საქართველო 01008017409, ნინო აბრამიშვილი

შპს შუხმან ვაინს ჯორჯია (205237518)

შპს შუხმან ჰოტელს მენეჯმენტ ენდ სერვის გრუპი 405020597

შპს შუხმან რიალ ისთეით (405189692)

4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

ამ შესწორებათა ამოქმედებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები¹;
- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან¹;

- ფასს 16 - იჯარა²;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები³;
- ფასს 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება¹;
- ფასს 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება²;
- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით¹;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 – აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში⁴;
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა¹;
- შესწორებები ფასს 4 - „ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4 „სადაზღვევო კონტრაქტებთან“ ერთად¹;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით²;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი².

შენიშვნები:

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

დანართები (განმარტებები):

ფული და ფულის ექვივალენტები ა1

დასახელება	31/12/18	31/12/17
ფული და ფულის ექვივალენტები	2,596	1,874
ფული საბანკო ანგარიშზე	815,886	214,272
Grand Total	818,482	216,146

მიმდინარე მოთხოვნები ა2

დასახელება	31/12/18	31/12/17
მოკლევადიანი მოთხოვნები	3,781,390	2,291,587
Grand Total	3,781,390	2,291,587

აერთიანებს მოთხოვნებს საქონლისა მიწოდებიდან და ავტ-ების მიმართ მოთხოვნებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ა3

დასახელება	31/12/18	31/12/17
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	4,352,709	3,405,304
Grand Total	4,352,709	3,405,304

საანგარიშო პერიოდში არ ირიცხებოდა არსებითი ოდენობის მარაგები, რომელთა შეფასებაც შესამცირებელი იქნებოდა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე, რომელიც უფრო მცირეა, ვიდრე თვითღირებულება.

ძირითადი საშუალებები ა4

დასახელება	31/12/18	31/12/17
ძირითადი საშუალებები	11,377,341	9,873,418
Grand Total	11,377,341	9,873,418

კომპანიამ საანგარიშო წლის ბოლოს გადახედა აქტივების ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებას და სასარგებლო სამსახურის ვადას, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში არ განხორციელებულა.

არამატერიალური აქტივები ა5

დასახელება	31/12/18	31/12/17
არამატერიალური აქტივები	73,605	121,424
Grand Total	73,605	121,424

აერთიანებს სავაჭრო ნიშნებს, პატენტებს და პროგრამულ უზრუნველყოფას.

მოკლევადიანი ვალდებულებები ა6

დასახელება	31/12/18	31/12/17
მოკლევადიანი ვალდებულებები	3,020,365	2,468,865
Grand Total	3,020,365	2,468,865

საგადასახადო ვალდებულებები ა7

დასახელება	31/12/18	31/12/17
საგადასახადო ვალდებულებები	19,503	
Grand Total	19,503	

გრძელვადიანი სესხები ა8

დასახელება	31/12/18	31/12/17
გრძელვადიანი სესხები	8,368,989	8,135,537
Grand Total	8,368,989	8,135,537

აერთიანებს გრძელვადიან საბანკო სესხებს და სესხებს დამფუძნებელ-პარტნიორთა მიმართ.

კაპიტალი ა9

დასახელება	31/12/18	31/12/17
არამაკონტროლებელი წილი	2,521,096	2,106,730
გაუნაწილებელი მოგება	4,032,599	3,176,793
საწესდებო კაპიტალი	147,324	147,324
Grand Total	6,701,018	5,430,847

6. რისკის მართვა

რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საბაზრო რისკს
- სავალუტო რისკს
- საფასო რისკს
- საოპერაციო რისკს

დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია. კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მონიტორინგით, რაც მას აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

7. შემდგომი მოვლენები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი



ნინო აბრამიშვილი

16 სექტემბერი 2019